საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის
უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში
21.06.2018-01.10.2018

შესავალი

2018 წლის 21 ივნისს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 და მე- 5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის მინისტრის №307 ბრძანებით შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია) და დამტკიცდა კომისიის დებულება.

2018 წლის 21 ივნისის №307 ბრძანების თანახმად, კომისია შედგება 14 წევრისგან (სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები).

კომისია, რომელიც დროებითი ორგანოა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობს დიალოგს სახელმწიფო უწყებებსა და საარჩევნო სუბიექტებს შორის, უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებული, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას და, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევებზე რეაგირებისა და პრევენციის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ.

2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2015 წლის შუალედური, 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2018 წლის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად,

კომისიის საქმიანობაში კვლავ აქტიურად ჩაერთვნენ პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. ასევე, მნიშვნელოვან მექანიზმად იქნა მიჩნეული 2013, 2014, 2015, 2016 და 2017 წლებში კომისიის მიერ გამოცემული რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

კომისიის რეკომენდაციით 2014 წელს კომისიის წევრი და ზოგიერთი არაწევრი უწყების მიერ გამოიცა ბრძანებები წინასაარჩევნო პერიოდში განსაზღვრული ინსტრუქციების შესახებ. ამ მიზნით კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრ უწყებებს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც ეთხოვათ, უახლოეს პერიოდში გამოეცათ მსგავსი შინაარსის ბრძანება, ხოლო მოქმედი ბრძანების შემთხვევაში, კვლავ შეეხსენებინათ მათ უწყებებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისთვის, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე.

2015 წელს შუალედური არჩევნების პერიოდში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით კომისიის ფორმატში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავდა სპეციალური საარჩევნო უბნების გაუქმებას. ამ ინიციატივის თანახმად, ცვლილება შევიდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 32-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური სიების ფორმირების წესს. ახალი რეგულაციით გაუქმდა სპეციალური საარჩევნო უბნები, რაც არჩევნების კიდევ უფრო მეტად თავისუფალ გარემოში ჩატარებას ემსახურება.

კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 2018 წლის 16 ივლისს. მანამდე კომისია საარჩევნო სუბიექტებთან ცხელი ხაზისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მუშაობდა. კანონმდებლობის შესაბამისად, სხდომები გაიმართება ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, 2018 წლის 28 სექტემბრიდან – კვირაში ერთხელ. ჯამში, საანგარიშო პერიოდში დღემდე 6 სხდომა ჩატარდა (თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა – 2 საათი). კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომისიის 14 წევრის გარდა, მოწვევა ეგზავნება უკლებლივ ყველა საარჩევნო სუბიექტს (22 პარტიას, 12 საინიციატივო ჯგუფს), არჩევნებში სადამკვირვებლო გამოცდილების მქონე ადგილობრივ (სულ – 18) და საერთაშორისო ორგანიზაციებს (სულ – 8). კომისიის ცხელი ხაზი (599 85 00 11) ამოქმედდა კომისიის შექმნის დღიდან და მუშაობს 24 საათის განმავლობაში. კომისიის შექმნის დღიდან ამოქმედდა კომისიის ელექტრონული ფოსტაც (iatf@justice.gov.ge).

2018 წლის 21 ივნისიდან დღემდე კომისიის სახელზე ელექტრონული ფოსტისა და იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მეშვეობით, ჯამში, შემოვიდა 17 განცხადება (2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კომისიის სამთვიანი მუშაობის პერიოდში – 151 განცხადება; 2016 წელს საპარლამენტო არჩევნების კომისიის ხუთთვიანი მუშაობის პერიოდში – 113 განცხადება). თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კომისია, თავისი საქმიანობის პერიოდში დანერგილი პრაქტიკის თანახმად, კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ მედიამონიტორინგს აწარმოებს, რომლის საფუძველზეც სხდომაზე განხილულ ინფორმაციათა ნაწილს მედიაში გავრცელებული ცნობები შეადგენს. მედიამონიტორინგის ეფექტიან მუშაობაზე მიუთითებს წინასაარჩევნო პერიოდში კომისიის მიერ განხორციელებული მყისიერი რეაგირებები.

კომისიამ **2018 წლის 13 აგვისტოს** გამოსცა რეკომენდაცია; კერძოდ, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მისამართით, რომ მათ უწყებებში დასაქმებულმა საჯარო მოსამსახურეებმა უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნიდან დაიცვან საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.

საანგარიშო პერიოდში მედიამონიტორინგის შედეგად და სამდივნოში სხვა წყაროებიდან წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება უმოკლეს ვადებში დაიწყო სულ სისხლის სამართლის **4 საქმეზე;** მათ შორის, სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა – 2 ფაქტი); სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა - 1 ფაქტი, (გაიქურდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ცენტრალური ოფისი)); და სსკ-ის 362-ე მუხლით (პარტიის – „სახელმწიფო ხალხისათვის“ – მიერ ცესკო-ში წარდგენილ მხარდამჭერთა სიაში პრემიერ-მინისტრის პირადი მონაცემების არსებობა (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება – 1 ფაქტი)).

2018 წლის 20 სექტემბერს კომისიამ რეკომენდაციებით მიმართა:

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მათ უწყებებში დასაქმებულმა საჯარო მოსამსახურეებმა მხედველობაში მიიღონ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ 2018 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი მემორანდუმი, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაცია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო სექტორთან ერთად შეთანხმდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის ერთიან სტანდარტზე, რომელიც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების აკრძალვას.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, კიდევ ერთხელ შეახსენონ მათ სტრუქტურებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს უკვე გამოცემული განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე, რა სანქციებია დაწესებული კანონის მოთხოვნების დარღვევებზე და როგორ არის დაცული მათი არჩევანის თავისუფლება და ფარულობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეთხოვოს თვითმმართველი ერთეულებისათვის ინფორმაციის კიდევ ერთხელ მიწოდება და მათთან განმარტებითი სამუშაოს წარმოება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით.

„OSCE/ODIHR“-ის დასკვნებში მოცემული რეკომენდაციის შედეგად, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესის გასაუმჯობესებლად იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც მთავრობის მიერ იქნა ინიცირებული

პარლამენტში. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების მიერ საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა. ახალი საკანონმდებლო რეგულაციით, რომელიც პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს მესამე მოსმენით მიიღო და დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია (2018 წლის 27 ივლისიდან), ამომრჩეველი, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ბოლო რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა ბაზაში ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია დაცული არ არის, არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი ამომრჩეველი ვალდებული იქნება, არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21 დღისა გამოცხადდეს სააგენტოში, მიუთითოს თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) და გადაიღოს ფოტოსურათი ციფრულ ფორმატში. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩეველი თავისუფლდება სხვადასხვა მომსახურების საფასურის გადახდისაგან. საარჩევნო სიაში შეყვანის აუცილებელ პირობად კვლავ დარჩება იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფლობა.

ახალი რეგულაციით, ვინაიდან მისამართზე რეგისტრაციის ადგილი წარმოადგენს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, სააგენტოს ბაზებში დაცული მონაცემების მიხედვით, საზღვარგარეთ რეგისტრირებული პირები გაუთანაბრდებიან საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირებს, მოხვდებიან სპეციალურ სიაში და მიენიჭებათ აქტიური საარჩევნო უფლება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად გარანტიაა იმისა, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილ, უმისამართო პირებს და მსგავს მოწყვლად ჯგუფებს არ შეექმნებათ დაბრკოლება არჩევნებში მონაწილეობისთვის და არ დარჩებიან ხმის მიცემის უფლების გარეშე.

კომისიის **16 ივლისის** სხდომაზე მოსახლეობისა და დამსწრე ორგანიზაციების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელმა გამართა პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფას; კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა იურიდიულად ძალადაკარგული დოკუმენტების მქონე და რეგისტრაციიდან მოხსნილი პირებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული დევნილის სტატუსშეჩერებული მოქალაქეებისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარეგისტრირების შეთავაზება საარჩევნო სიაში მოხვედრის მიზნით; არარსებულ/არასრულ ან/და ლიკვიდირებულ მისამართზე რეგისტრირებული პირების ინფორმირება და მათი მაქსიმალურად სრულ/სწორ მისამართზე დარეგისტრირება; მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირებისთვის, რომლებსაც არ უფიქსირდებათ ან არასრულად აქვთ მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, იდენტიფიცირებად მისამართზე დარეგისტრირების შეთავაზება საარჩევნო სიაში მოხვედრის მიზნით; მონაცემთა ბაზაში უსურათო/უხარისხო სურათის მქონე ჩანაწერების მაქსიმალურად შემცირება; საზღვარგარეთ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების

მისამართების კორექტირება; საარჩევნო სიაში გარდაცვლილი პირების (მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ გარდაცვლილთა) აქტიური ჩანაწერების შემცირება.

2018 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით, ელექტრონული მოწმობა 2,637,699-მა მოქალაქემ მიიღო; 261,208 პირი ფლობს ბიომეტრიულ პასპორტს. ჯამში, დღეის მდგომარეობით, 2 900 000-მდე ამომრჩევლის მონაცემია უტყუარი ბიომეტრიული დოკუმენტის მეშვეობით.

გარდა ამისა, 2013 წლიდან დღემდე 7892 გარდაცვლილი პირია ამოღებული საარჩევნო სიიდან.

2016 წლიდან ყოველ საარჩევნო წელს სააგენტოში, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით და მისივე ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობს აქცია, რომელიც პირადობის ელექტრონული მოწმობის დამზადების საფასურის გადახდისგან ათავისუფლებს საარჩევნო სიაში მოხვედრის პრობლემის მქონე მოქალაქეებს. მინისტრის ბრძანება საშუალებას აძლევდათ მათ, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საფასურის გადახდის გარეშე აეღოთ სწორი საიდენტიფიკაციო მონაცემების მქონე დოკუმენტი, რაც მათი საარჩევნო სიებში მოხვედრის გარანტიაცაა; კერძოდ, დოკუმენტის აღება საფასურის გადახდის გარეშე შეუძლიათ: 1. მისამართის გარეშე რეგისტრირებულ პირებს, რომლებიც დარეგისტრირდებიან კონკრეტულ მისამართზე; 2. რეგისტრაციიდან მოხსნილ საქართველოს მოქალაქეებს; 3. მოქალაქეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული ძალის მქონე არცერთი დოკუმენტი; 4. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ან არ გააჩნიათ დევნილის სტატუსი (ფაქტობრივი მისამართის არარსებობის გამო ისინი ვერ ხვდებიან საარჩევნო სიაში); 5. მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან არასრულ/არარსებულ ან ლიკვიდირებულ მისამართზე; 6. მოქალაქეებს, რომელთა ჩანაწერები სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში უსურათო ან უხარისხო სურათის მქონეა.

ზემომითითებული კატეგორიისთვის პირადობის მოწმობის გაცემის უფასო აქცია მიმდინარეობდა:

1. 2016 წლის 15 თებერვლიდან 1 ნოემბრამდე (საპარლამენტო არჩევნებისთვის);

2. 2017 წლის 15 თებერვლიდან 1 ნოემბრამდე (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის);

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პირადობის მოწმობის გაცემის უფასო აქცია დაიწყო 2018 წლის 1 მარტს და გაგრძელდება 2018 წლის 1 ნოემბრამდე.

ჯამში, მიმდინარე საყოველთაო უფასო აქციით ისარგებლა 1 280 000-მდე პირმა.

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში ასახულია კომისიის საქმიანობა 2018 წლის 21 ივნისიდან დღემდე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
რეკომენდაცია

(2018 წლის 13 აგვისტო)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს,

ითვალისწინებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული დებულებები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდის განმარტებისთვის, და

რეკომენდაციით მიმართავს:

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს:

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების კონკრეტული პერიოდი, კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, საჯარო მოსამსახურეებმა უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნიდან დაიცვან საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2018 წლის 20 სექტემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს, და

რეკომენდაციით მიმართავს:

1. **ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს:**

გაითვალისწინონ და მხედველობაში მიიღონ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ 2018 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი მემორანდუმი, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაცია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო სექტორთან ერთად შეთანხმდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის ერთიან სტანდარტზე, რომელიც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების აკრძალვას.

მემორანდუმის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის, ელფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის, ოფიციალური ვებგვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის **(მათ შორის, ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება)** გამოყენება იკრძალება, გარდა პოლიტიკური პარტიებისა.

2. **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს:**

მათ სტრუქტურებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებს კიდევ ერთხელ შეახსენონ უკვე გამოცემული განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე, რა სანქციებია დაწესებული კანონის მოთხოვნების დარღვევებზე და როგორ არის დაცული მათი არჩევანის თავისუფლება და ფარულობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეთხოვოს თვითმმართველი ერთეულებისათვის ინფორმაციის კიდევ ერთხელ მიწოდება და მათთან განმარტებითი სამუშაოს წარმოება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით.

უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები, ასევე, განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ქართულად და ინგლისურად: http://justice.gov.ge/Ministry/Index/1516 .

უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმები, ასევე, განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე: http://justice.gov.ge/Ministry/Index/1515 .

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

ცხრილი №1. კომისიის სახელზე შემოსული ინფორმაცია, რომელიც გახდა პრევენციის ან/და რეაგირების საგანი

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	რეაგირება / გადაწყვეტილება
1	„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 06.07.2018	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლის“ თავმჯდომარე მომართავს თხოვნით უწყებათაშორის კომისიას, რათა უახლოეს სხდომაზე **გამოცემულ იქნეს რეკომენდაცია ცესკო-ს მიმართ** 2018 წლის ოქტომბერში გასამართ საქართველოს პრეზიდენტის მორიგ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე ნებისმიერ პოლიტიკურ გაერთიანებას და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარულ წელს, ანუ 2018 წლის ოქტომბერში, გასამართ საქართველოს პრეზიდენტის მორიგ არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით **ცესკო-თვის განცხადებით მიმართვის უფლება მიეცეთ ცესკო-ს მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, მაგრამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.**	**ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაიგზავნა ცესკო-ში. 2018 წლის 31 ივლისს უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს №6107 წერილით ინფორმაცია გაეგზავნა, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას პარტიებისთვის არჩევნების თარიღის დროულად დანიშვნის მნიშვნელობაზე.** **ცესკო:** „საარჩევნო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ცესკო-ს მხრიდან დადგენილების მიღება შეიძლება კანონით პირდაპირ განსაზღვრულ და, ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, თუ აუცილებელი აღმოჩნდა ამ კანონით განუსაზღვრელი და არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტა. დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკეული საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციაც, რომელიც არ უნდა შეიცავდეს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი პროცედურის დაწვრილებით აღწერას. **აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე, მხარდამჭერთა ხელმოწერებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის გაზრდის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გამონაკლისი შემთხვევა და არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საკითხის გადაწყვეტა, რომლის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება კომისიას აქვს მხოლოდ არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე. დღეის მდგომარეობით, არჩევნების თარიღი განსაზღვრული და პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოცემული არ არის. შესაბამისად, საარჩევნო პროცესი არ დაწყებულა, რაც გამორიცხავს კომისიის მიერ ხსენებული საკითხის განხილვის შესაძლებლობას.**

			ამასთან, თუ მოცემული საკითხი იქნება განხილული, როგორც საარჩევნო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი საარჩევნო პროცედურა, ასეთ შემთხვევაშიც კომისია მოკლებული იქნება შესაძლებლობას, განიხილოს შესაბამისი აქტის მიღების საჭიროება, ვინაიდან ეს პროცედურა, მისი საწყისი და საბოლოო ვადების გათვალისწინებით, განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსით. საარჩევნო პროცედურები ხორციელდება მხოლოდ არჩევნების დანიშვნის შემდგომ. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაცია მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს კანონით გათვალისწინებული მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ვადების გაგრძელება** და, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს შეუძლიათ, განცხადებით მიმართონ ცესკო-ს თავმჯდომარეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა“.
2	პგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 30.07.2018	პოლიტიკური გაერთიანების - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - გენერალური მდივნის, გიორგი უგულავას, მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების/აქტივისტების მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტში შუამთობის დღესასწაულზე „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარ წევრ ზურაბ შაინიძეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მას დაზიანებები აღენიშნება თავის არეში და საჭირო გახდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა. მისი თქმით, ფიზიკური ძალადობა (ხელკეტებით/ჯოხებით)	ინფორმაცია რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაიგზავნა **შსს-სა და მთავარ პროკურატურაში,** ასევე, **„ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოში“.** **მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო:** **„ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის** („ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“) ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2018 წლის 29 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა ჯგუფურად). გამოძიების ფარგლებში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები. გამოკითხულ იქნა 30 მოწმე, მათ შორის, უშუალოდ კონფლიქტში მონაწილე პირები; ჩატარდა შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. გამოძიებით დადგინდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში შუამთობის დღესასწაულზე რამდენიმე მოქალაქესა და ზურაბ შაინიძეს შორის ყოფით ნიადაგზე

		პოლიტიკური ნიშნით განხორციელდა და პოლიტიკური გაერთიანების - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - მხარდამჭერების დაშინების მცდელობას წარმოადგენდა. მომართვაში დასახელებულია ხსენებულ ფაქტში მონაწილე სავარაუდო პირები: **ლევან მიქელაძე** - 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ადიგენის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის (გურამ მიქელაძის) შვილი; **ბესიკ მიქელაძე** - თავად და მისი მამა ამირან მიქელაძე იგებენ ყველა ტენდერს რაიონში; **მარადი მიქელაძე** - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი (მისი მამა ბექა მიქელაძე „ქართული ოცნების“ კოორდინატორია); **ლაშა, დათო და იმედა მიქელაძეები** - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. მათი გადმოცემით, დაპირისპირებაში მონაწილე **ბესიკ მიქელაძე** 2014 წელს დარეგისტრირდა ინდმეწარმედ. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მან გაიმარჯვა ადიგენის გამგეობა/მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში; საერთო ჯამში, გაფორმებული აქვს 75 338 ლარის ხელშეკრულება. წერილის თანახმად, შუამთობის დღესასწაული ბექა მიქელაძის მიერ იყო ორგანიზებული, რაშიც ადიგენის მერიისგან მიიღო 2552 ლარი. ამასთან, მათი თქმით, ერთ-ერთი თავდამსხმელის (**ბესიკ მიქელაძის**) მამა **ამირან მიქელაძე** 2015 წელს	(ფეხბურთის თემაზე) შელაპარაკების შედეგად წარმოიშვა კონფლიქტი. დაკითხულ მოწმეებზე დაყრდნობით გამოირიცხა დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე. საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 3 პირი. ამ ეტაპზე დაპირისპირებაში მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელთაგან 12 პირის მიმართ სსსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და ზემოხსენებულ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო. 2018 წლის 26 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. ზემოაღნიშნული საქმიდან სსსკ-ის 126-ე მუხლით ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე გამოძიებით დაუდგენელი პირების მიერ ძალადობის ჩადენის ფაქტზე. მოცემულ საქმეზე გრძელდება გამოძიება“.

		დარეგისტრირდა ინდმეწარმედ, უკონკურენტოდ მონაწილეობდა ადიგენის გამგეობის/მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და, საერთო ჯამში, გაფორმებული აქვს 114 545 ლარის ხელშეკრულება. **ამირან მიქელაძესთან** ადიგენის გამგეობას, ასევე, 1 პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული აქვს სატენდერო ხელშეკრულება 38 580 ლარის ოდენობით. ითხოვენ, საკითხი განხილულ იქნეს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის.	
3	ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 06.08.2018	წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ არჩევნების გამოცხადების დღიდან წინასაარჩევნო აგიტაციის დაწყებამდე პერიოდში ტარდება საარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანესი აქტივობები, რაშიც სხვებთან ერთად მონაწილეობენ საჯარო მოხელეები. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საჯარო მოხელეებს გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა უწესდებათ მხოლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის დაწყების დღიდან. „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) უწყებათაშორის კომისიას **სთავაზობს რეკომენდაციის შემუშავებას იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნების დანიშვნის დღიდან წინასაარჩევნო კამპანიის**	**განცხადება გადაიგზავნა ცესკო-სა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.** **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** უწყებათაშორისი კომისიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (iatf@justice.gov.ge) 2018 წლის 16 აგვისტოს შემოვიდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის №03/2768-18 წერილი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა კომისიის პოზიცია. წერილში მითითებულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე; ასევე, ამავე კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელიც განმარტავს წინასაარჩევნო კამპანიას და პოლიტიკურ რეკლამას/წინასაარჩევნო რეკლამას; ამასთან, აქცენტია გაკეთებული საარჩევნო კოდექსის 50-51-ე მუხლებზე, რომლებითაც დარეგულირებულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის წესები. გარდა ამისა, მითითებაა გაკეთებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1]-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლითაც აკრძალულია

		დაწყებამდე პერიოდში ყველა საჯარო მოხელემ ასეთ აქტივობებში (ღონისძიებებში) მონაწილეობა მიიღონ მხოლო საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით. ასევე, შესაბამისი **რეკომენდაცია გაიცეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ,** რომ ამ პერიოდში ხელი შეუწყონ მაუწყებლებს სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების სავალდებულო პერიოდის დადგომამდე და მაუწყებლებმა არ აკრძალონ მაუწყებლების მხრიდან საკუთარი ინიციატივით ასეთი რეკლამების განთავსება.	ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე, მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება, ან თანადაფინანსება (გარდა გამონაკლისებისა). ამავე კანონით, არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიის მიერ მაუწყებლის დაფინანსების აკრძალვა ემსახურება მაუწყებლის დაცვას პოლიტიკური პარტიის გავლენისგან, მაუწყებლის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიის მიერ მაუწყებლობის დაფინანსება დასაშვებია მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით და განსაზღვრულია შესაბამისი რეგულაციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით მაუწყებლის დაფინანსება პოლიტიკური პარტიის მიერ დასაშვებია მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში და ამავე კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით, რომელთა მიზანია თანაბარი პირობების უზრუნველყოფა არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის. კომისიას თავისი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ამასთან, უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და **აცხადებს, რომ, ზემომოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, კომისია ვერ გაიზიარებს წარმოდგენილ მოსაზრებას - პოლიტიკურ გაერთიანებებს მიეცეთ უფლება, განათავსონ პოლიტიკური რეკლამები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, მათ შორის, როგორც არასაარჩევნო პერიოდში, ისე საარჩევნო პერიოდის დაწყების დღიდან. გადაწყვეტილებები სრულ შესაბამისობაშია როგორც კანონმდებლობასთან, ისე სასამართლო პრაქტიკასთან.** კომუნიკაციების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული პასუხი ინფორმაციისთვის გაეგზავნა ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრს“ (ICDI) (მერი კაპანაძეს) 2018 წლის 17 აგვისტოს.

			აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა, ასევე, უწყებათაშორისმა კომისიამ 2018 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე და „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის“ (ICDI) ინიციატივის საფუძველზე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეების მისამართით შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაცია. იხ. უწყებათაშორისი კომისიის **2018 წლის 13 აგვისტოს რეკომენდაცია** (http://justice.gov.ge/Ministry/Index/1516).
4	ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 10.08.2018 №01/16204	წერილში საუბარია ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის“ (ICDI) მიერ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ ინიციატივაზე. კერძოდ, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კანდიდატების წარსადგენად პარტიისათვის აუცილებელია რეგისტრაცია ცესკო-ში, **„დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) გამოდის ინიციატივით,** ცესკო-მ ნორმატიული აქტით განსაზღვროს პარტიების მიერ საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით ან/და ისეთ პარტიებს, რომლებსაც ჰქონდათ საარჩევნო რეგისტრაცია ბოლო საპარლამენტო/ადგილობრივ არჩევნებზე და შემდეგ იგი გაუუქმდათ საკუთარი ინიციატივით, მიეცეთ უფლება, წარადგინონ საპრეზიდენტო კანდიდატები და შეაგროვონ მხარდამჭერთა სიები, რაც საპრეზიდენტო არჩევნებისადმი გაზრდის ნდობას და მეტ პოლიტიკურ გაერთიანებას მისცემს კანდიდატების წარდგენის შესაძლებლობას.	**განცხადება გადაიგზავნა ცესკო-ში.** **ცესკო:** საკითხი განხილულ იქნა 2018 წლის 13 აგვისტოს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე. „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის“ (ICDI) გამგეობის თავმჯდომარის წერილით წარმოდგენილი მოსაზრებები (როგორც ცესკო-ში, ისე უწყებათაშორის კომისიაში) გაითვალისწინა ცესკო-მ და მიიღო „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 13 აგვისტოს №42/2018 დადგენილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ პარტიებს, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ ცესკო-ში საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მათ შორის, ასევე, იმ პარტიებს, რომლებსაც ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულებით გაუუქმდათ რეგისტრაცია.

		წერილის ავტორი სთავაზობს უწყებათაშორის კომისიას, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაცია.	
5	„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 11.08.2018	წერილის ავტორი მიუთითებს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამის მუხლზე, რომლის თანახმად, „საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება“. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის 10 აგვისტოს ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა „საარჩევნო სუბიექტების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარსადგენი ინფორმაცია“; 2018 წლის 28 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდა 2018 წლის 1 აგვისტოს; საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურებისათვის მზადების მექანიზმი (მხარდამჭერთა სიის შესაგროვებელი ბლანკის აღება) ამოქმედდა 2018 წლის 2 აგვისტოდან და სიების წარდგენის ვადა არის არჩევნებამდე მე-40 დღე, ანუ 2018 წლის 18 სექტემბერი, **პრაქტიკულად შეუძლებელია საპრეზიდენტო კანდიდატების მხრიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პირველი დეკლარაციის წარდგენის ვადის დაცვა.** წერილის ავტორის მოსაზრებით, **სახელმწიფო აუდიტის მიერ დადგენილ „სამკვირიანი და საარჩევნო პერიოდის**	**განცხადება გადაიგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.** 2018 წლის 13 აგვისტოს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე საქართველოს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტად ითვლება კანდიდატი და, აგრეთვე, საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ცესკო-ს მიმართავს კანდიდატის წარდგენის უფლების მიღების მიზნით. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტი, ამ შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფი, რომელიც იწყებს აქტივობას კანდიდატის წარდგენის მიზნით და ამ მიზნისთვის ხარჯავს ფულს, ვალდებულია, აღნიშნული ხარჯები გასწიოს მხოლოდ საარჩევნო ფონდიდან. საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო ფონდი უნდა გახსნას ხარჯის გაწევის დაწყებისთანავე. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის 32[1]-ე მუხლის თანახმად, არჩევნების დანიშვნის დღიდან ყველა პარტია ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია სამ კვირაში ერთხელ. სწორედ არჩევნების დანიშვნის დღიდან მოყოლებული, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური იწყებს დროის ათვლას, მიუხედავად იმისა, თუ როდის შეძლებს პარტია დარეგისტრირებას, და ყველა სუბიექტი ექცევა ერთიან პერიოდში. ბატონმა ზურაბმა დაამატა, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი სარგებლობს საინიციატივო ჯგუფის მიერ გახსნილი ფონდით. შესაბამისად, ფონდის გახსნის ვალდებულება აქვს საინიციატივო ჯგუფს და არა კანდიდატს, კანდიდატი კი, იყენებს მისი წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის ფონდს. მნიშვნელოვანია, რომ აქ შეზღუდვა არ არსებობს, რეგისტრაციაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს და არა უშუალოდ საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირების მერე. ამასთან, თუ**

		დეკლარაციის წარმოდგენის გრაფიკში“ მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი, რომ მასში მითითებული ვალდებულება (ფინანსური ინფორმაციის 1-21 აგვისტოს პერიოდის მონაცემების 24 აგვისტოს წარდგენასთან დაკავშირებით) ეხებათ მხოლოდ საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „პ“ პუნქტით განსაზღვრულ საარჩევნო რეგისტრაციის მქონე საპრეზიდენტო კანდიდატებს; და რომ სხვა შემთხვევაში საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციის პროცესში მყოფ პირებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აღნიშნული მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა არ ჩაეთვლებათ კანონდარღვევად. წერილის ავტორი კომისიას სთავაზობს საკითხის განხილვას და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემას.	**არჩევნების მიზნებისთვის საარჩევნო პროცესის დაწყებამდე გაწეულ იქნა ხარჯები, სუბიექტი ვალდებულია, საარჩევნო დეკლარაციაში დააკორექტიროს შესაბამისი ფორმები და, თუნდაც, ივლისში გაწეული ხარჯები შეიტანოს დეკლარაციაში მისი წარდგენის პერიოდისთვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით,** „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლის“ თავმჯდომარის მიერ დასახელებული ხუთდღიანი ვადა არ ზღუდავს დაინტერესებულ მხარეს, დეკლარაცია წარადგინოს საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციამდე ან შემდგომ პერიოდში.
6	პგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წერილი (№01/16298) შემოვიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში 13.08.2018	წერილის ავტორი მიუთითებს საპრეზიდენტო არჩევნების 28 ოქტომბერს დანიშვნასა და ცესკო-ს მიერ 2018 წლის 1-ლი აგვისტოს განკარგულებით დამტკიცებულ 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკზე. წერილში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - საარჩევნო კოდექსის თანახმად წარადგინა საპრეზიდენტო კანდიდატი და დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. პოლიტიკური პარტიები არჩევნების გამოცხადების დღიდან საარჩევნო კამპანიის წარმართვის მიზნით საჭიროებენ მაუწყებლების მიერ	**განცხადება გადაიგზავნა ცესკო-სა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.** **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** უწყებათაშორისი კომისიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (iatf@justice.gov.ge) 2018 წლის 16 აგვისტოს შემოვიდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის № 03/2768-18 წერილი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა კომისიის პოზიცია. წერილში მითითებულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე; ასევე, ამავე კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელიც განმარტავს წინასაარჩევნო კამპანიას და პოლიტიკურ რეკლამას/წინასაარჩევნო რეკლამას; ამასთან, აქცენტია გაკეთებული საარჩევნო კოდექსის 50-51-ე მუხლებზე, რომლებითაც დარეგულირებულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის წესები. გარდა ამისა, მითითებაა გაკეთებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1]-ე

		სატელევიზიო წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამების განთავსებას მათ სატელევიზიო ბადეში, რაც წარმოადგენს წინასაარჩევნო პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს. **ავტორი მიუთითებს, რომ, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნებამდე 60 დღით ადრე, მოკლებულნი არიან საშუალებას, აწარმოონ სრულყოფილი საარჩევნო კამპანია და თვლიან, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნიათ, კომისიამ რეკომენდაციით მიმართოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რათა შესაძლებლობა მიეცეთ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, განათავსონ პოლიტიკური რეკლამები სატელევიზიო ეთერში.**	მუხლის პირველ პუნქტზე, რომლითაც აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე, მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება, ან თანადაფინანსება (გარდა გამონაკლისებისა). ამავე კანონით, არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიის მიერ მაუწყებლის დაფინანსების აკრძალვა ემსახურება მაუწყებლის დაცვას პოლიტიკური პარტიის გავლენისგან, მაუწყებლის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიის მიერ მაუწყებლობის დაფინანსება დასაშვებია მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით და განსაზღვრულია შესაბამისი რეგულაციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით მაუწყებლის დაფინანსება პოლიტიკური პარტიის მიერ დასაშვებია მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში და ამავე კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით, რომელთა მიზანია თანაბარი პირობების უზრუნველყოფა არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის. კომისიას თავისი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და **აცხადებს, რომ, ზემომოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, კომისია ვერ გაიზიარებს წარმოდგენილ მოსაზრებას - პოლიტიკურ გაერთიანებებს მიეცეთ უფლება, განათავსონ პოლიტიკური რეკლამები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, მათ შორის, როგორც არასაარჩევნო პერიოდში, ისე საარჩევნო პერიოდის დაწყების დღიდან. გადაწყვეტილებები სრულ შესაბამისობაშია როგორც კანონმდებლობასთან, ისე სასამართლო პრაქტიკასთან.**
7	პგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით წერილში **ითხოვენ, სხდომებზე სისტემატური დასწრების უფლება მიეცეთ პრესისა და მასმედიის იმ წარმომადგენლებს,**	**იმის გათვალისწინებით, რომ პრესისა და მედიის წარმომადგენლების სხდომებზე დასწრებასთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა 2018 წლის 30 ივლისის სხდომაზე და კომისიის წევრთა მიერ ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოდგენილი წინადადების არგაზიარებასთან დაკავშირებით, კომისიას აღნიშნულ**

	წერილი (№01/16295) შემოვიდა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში 13.08.2018	**რომლებიც არჩევნების დაკვირვების მიზნით აკრედიტაციას გაივლიან ცესკო-ში.**	**საკითხზე ხელმეორედ აღარ უმსჯელია; მით უმეტეს, რომ** წინადადების ინიციატორის და სხდომაზე დამსწრე პირების მიერ ახალი გარემოება ან მიზანი იმავე საკითხის დასაყენებლად არ წარდგენილა.
8	„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ მთავარი კომიტეტის წევრი ზურაბ ღონღაძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 21.08.2018	წერილის ავტორი მიუთითებს, რომ **18 აგვისტოს გაქურდეს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ცენტრალური ოფისი.** წაღებულ იქნა 3 კომპიუტერი, მათ შორის, პარტიის საარჩევნო-ანალიტიკური სამსახურის 2 და ბუღალტერიის 1 კომპიუტერი, ასევე, 2 ტელევიზორი და სხვა წვრილმანი ნივთები. **პოლიციამ ქურდი ცხელ კვალზე 19 აგვისტოს დააკავა და ამოიღო ყველა მოპარული ნივთი, ერთი მონიტორის გარდა.** მიუხედავად იმისა, რომ წერილის ავტორები გაგებით ეკიდებიან აღნიშნულ ნივთებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს, მათ შორის, იმასაც, რომ აღნიშნული ნივთები წარმოადგენს ნივთმტკიცებას, თხოვნით მომართავენ უწყებათაშორის კომისიას, **მიმდინარე საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით, გაეწიოთ შუამდგომლობა და გამონაკლისის სახით პროკურატურამ დაუბრუნოს პარტიას აღნიშნული ნივთები, რადგან მათ გარეშე გართულდება საარჩევნო პროცესების წარმართვა** (სახელმწიფო აუდიტისთვის 3-კვირიანი ანგარიშების წარდგენა, საუბნო საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლების დანიშვნა და ა.შ.).	განცხადება დაუყოვნებლივ გადაიგზავნა **მთავარ პროკურატურაში.** **მთავარი პროკურატურა:** „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ მიერ პროკურატურისთვის მოთხოვნილი ნივთები მიმდინარე წლის 25 აგვისტოს დაუბრუნდა ზემოხსენებულ პარტიას“.

9	,,ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ გრიგოლ გაგნიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 23.08.2018	„2018 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდში მედიასაშუალებებით ბოლო კვირების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია ცესკო-ს მიერ სუს-ის და სხვა სპეცსამსახურების თანამშრომლების თუ მათი ოჯახის წევრების საოლქო საარჩევნო კომისიებში განწესების შესახებ. **ორგანიზაციის მხრიდან მედიასაშუალებებისა და ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებული ინფორმაციების გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა მსგავსი ფაქტები და, რაც მთავარია, ცესკო-ს ადმინისტრაციის მხრიდან საოლქო კომისიის წევრები კანონმდებლობის დაცვით დაინიშნენ“.** ორგანიზაციას მიაჩნია, რომ „მსგავსი განცხადებების გავრცელება მედიაში არის მცდელობა, ჩრდილი მიაყენოს როგორც წინასაარჩევნო გარემოს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების ობიექტურობას და სამართლიანობას“.	**აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე.** სხდომაზე ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ აღნიშნა, რომ საია-ს, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან ცესკო-ს მიმართ გავრცელებული ინფორმაცია (კერძოდ, ცესკო-ს მიერ სუს-ის თუ სხვა სპეცსამსახურების თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების საოლქო საარჩევნო კომისიებში განწესების შესახებ) მათი ორგანიზაციის მიერ გადამოწმდა. მისი თქმით, მსგავსი ინფორმაციები არ დადასტურდა და ცესკო-ს ადმინისტრაციის მხრიდან საოლქო კომისიის წევრები კანონმდებლობის დაცვით დაინიშნენ. ბატონი გრიგოლის განცხადებით, უმჯობესია, მსგავსი ტიპის ინფორმაციები წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, ეს მომართვა ეფუძნებოდა საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებსა და ცესკო-ს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა საია-ს წარმომადგენელს, ქალბატონ ლელა ტალიურს, სამდივნოს მიერ კომისიის წევრებისთვის გადაცემულ კვლევაში, სადაც საუბარია ცესკო-ს მიერ საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების დანიშვნაში ნეპოტიზმის ნიშნებზე, ეჩვენებინა მეთოდი, რომლის საფუძველზეც ჩატარდა ეს კონკრეტული კვლევა. ქალბატონმა ლელა ტალიურმა განაცხადა, რომ ეს იყო შუალედური კვლევა და საია გეგმავდა დაკვირვებას საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგზე; ამის შემდეგ კი, ორგანიზაცია შეჯამებულ ინფორმაციას გამოაქვეყნებდა საჯაროდ. კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა საია-ს წარმომადგენელს, უახლოეს პერიოდში წარმოედგინათ მათ მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდი ცესკო-ს მიერ ნეპოტიზმის ნიშნების შემცველ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებთ, ასევე, საია-ს ხელთ არსებული ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მონაცემები გაეზიარებინათ უწყებათაშორისი კომისიისთვის. კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა მათ კვლევაში ნახსენებ ფაქტს, რომ ცესკო-ს მიერ არჩეული 73 კანდიდატიდან არცერთ მათგანს არ ჰქონდა 2016-2017 წლებში ადმინისტრაციული და

			დისციპლინური პასუხისმგებლობა დაკისრებული, რაც წარმოადგენდა მნიშნველოვან გარემოებას. უწყებათაშორის კომისიას ამ ორგანიზაციისგან დღემდე არ მიუღია მოთხოვნილი ინფორმაცია.

10	„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 04.09.2018	წერილის ავტორი განცხადებაში აღნიშნავს, რომ 2018 წლის 28 ოქტომბერს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ პოლიტიკური გაერთიანებები. **ამასთან, გაერთიანებას „ძალა ერთობაშია“ წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ახალი საქართველოსთვის“, „ემსახურე საქართველოს“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ახალი საქართველო“, „ევროპელი დემოკრატები“ და „საქართველო ლიდერთა შორის“; **„ევროპულ საქართველოს“ წარმოადგენენ: „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“.** ზემომითითებული გაერთიანებების განცხადებით, მათი მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნებში დასახელებული საარჩევნო სუბიექტებიდან ერთი იქნება ძირითადი საარჩევნო სუბიექტი, ხოლო კვალიფიციური სტატუსის მქონე პარტიების მხრიდან დარეგისტრირდება ე.წ. ტექნიკური კანდიდატის სტატუსის მქონე საარჩევნო სუბიექტი. შესაბამისად, საპრეზიდენტო კანდიდატ **გრიგოლ ვაშაძის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)** პარალელურად, დარეგისტრირდება ე.წ. ტექნიკური	**განცხადება გადაიგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ასევე, შსს-სა და მთავარ პროკურატურაში.** **კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საერთო ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია, საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ 3 საათში გამოყოს არანაკლებ 7,5 წუთისა წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისთვის, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ - მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ მაუწყებლისათვის სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის წარდგენა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

		კანდიდატების სტატუსის მქონე კიდევ ოთხი საარჩევნო სუბიექტი: 1) ზვიად ბაღდავაძე („სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“), 2) ზვიად იაშვილი („ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“), 3) ზვიად მეხატიშვილი („საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“), 4) მიხეილ ანთაძე (მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“). რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატ **დავით ბაქრაძის („ევროპული საქართველო“)** პარალელურად, ტექნიკური კანდიდატის სტატუსის მქონე ერთი საარჩევნო სუბიექტი ირაკლი გორგაძე (მოძრაობა „თავისუფალი საქართველოსთვის“) დარეგისტრირდება. ხსენებულ ჯგუფებში გაერთიანებული სუბიექტები ღიად აცხადებენ, რომ ამ გზით ისინი აპირებენ თავიანთი საარჩევნო მიზნის მიღწევისათვის **დამატებითი დაფინანსებისა და უფასო სარეკლამო დროის მოპოვებას.** **ამასთან, ბატონმა მიხეილმა (გელა) სალუაშვილმა განცხადებაში წარმოადგინა ზემოხსენებული პოლიტიკური პარტიებისა და მათ მიერ დასახელებული საარჩევნო სუბიექტების შესახებ (შესაძლო) თაღლითური გზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსებისა და (უფასო სარეკლამო დროის) დაფინანსების მიღებაზე ინფორმაცია.** წერილის ავტორი, ასევე, ითხოვს, 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში	ამასთან, კომისიას მიაჩნია, რომ, ამ სახის მხარდამჭერი ვიდეორგოლების სამაუწყებლო ბადეში განთავსების შემთხვევაში, საზოგადოებამ უნდა შეძლოს მკაფიო იდენტიფიცირება, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტის მიერ იქნა განთავსებული კონკრეტული პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ მაუწყებლისათვის სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ მაუწყებელთან წარდგენილ სარეკლამო რგოლში მოხდება რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრით და პოლიტიკური გაერთიანების დასახელების მითითებით“. **კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოგზავნილი განცხადება სამდივნოს მიერ გადაეგზავნა ბატონ მიხეილ (გელა) სალუაშვილს მიღებისთანავე (07.09.2018).** **შინაგან საქმეთა სამინისტრო:** უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა, რომ მითითებული გარემოებები არ შეიცავს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

		მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლით გარანტირებული თანაბარი პირობების შექმნის მიზნით **უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცეს რეკომენდაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ სარეკლამო დროის გამოყენებასთან დაკავშირებით.**	

11	„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“. წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 20.09.2018	წერილის ავტორი განცხადებაში მიუთითებს შემდეგზე: „ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ 2018 წლის 19 სექტემბერს მიღებულ იქნა №111/2018 განკარგულება „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტ „გირჩის“ პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ჯაფარიძის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (98-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცესკო-ში რეგისტრირებულ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ, წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი) **თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატის წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანება უნდა იყოს ცესკო-ში რეგისტრირებული პარტია.** ამასთან, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 142-ე მუხლის მე-10 პუნქტზე დაყრდნობით, ცესკო-ს თავმჯდომარის 2017 წლის 10 აგვისტოს №16/2017 განკარგულებით პგ „გირჩს“ უარი ეთქვა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მოთხოვნილ საარჩევნო რეგისტრაციაზე (ხარვეზის შესწორების მიზნით მხარდამჭერთა სიების წარუდგენლობის გამო). შესაბამისად, პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ჯაფარიძის წარმდგენი პგ „გირჩი“ არ არის ცესკო-ში რეგისტრაციის მქონე პარტია და, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 98-ე მუხლის პირველი პუნქტის	**განცხადება გადაიგზავნა ცესკო-ში.** **ცესკო:** აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე. ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულებით პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ რეგისტრაციაგაუქმებულ პარტიებსაც. მისი თქმით, „გირჩს“ ჰქონდა საარჩევნო რეგისტრაცია 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, მაგრამ კანდიდატების წარუდგენლობის გამო გაუუქმდა რეგისტრაცია. კანდიდატის წარდგენა შესაძლებელია როგორც პარტიის, ისე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით და სწორედ საკითხის ყოველმხრივი გაანალიზების შედეგად მიიღო ცესკო-მ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ამასთან, როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა განმარტა, ცესკო-ს 2018 წლის 13 აგვისტოს №42/2018 დადგენილება („საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“) მომდევნო დღესვე გამოქვეყნდა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე. შესაბამისად, თუ ვინმეს ჰქონდა პრეტენზია აღნიშნული დადგენილების „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 98-ე მუხლთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით, შეეძლო მისი გასაჩივრება სასამართლოში შესაბამის, კანონით გათვალისწინებულ ვადებში, რაც არ მომხდარა და ზემოხსენებული დადგენილება შევიდა კანონიერ ძალაში.

		თანახმად, მას არ აქვს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება. წერილის ავტორის განცხადებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარჩევნო რეგისტრაციის არმქონე პგ „გირჩის“ მიერ დასახელებული ზურაბ ჯაფარიძის საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების თაობაზე ცესკო-ს თავმჯდომარის №111/2018 (19.09.2018) განკარგულება წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 98-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. ამასთან, ბატონი მიხეილი (გელა) თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ 2018 წლის 13 აგვისტოს ცესკო-მ მიიღო №42/2018 დადგენილება **„საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ პარტიებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ ცესკო-ში საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მათ შორის, ასევე, იმ პარტიებს, რომლებსაც ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულებით გაუუქმდათ რეგისტრაცია.** განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ ცესკო-ს დადგენილება კანონქვემდებარე	

		ნორმატიული აქტია, რომელიც არ უნდა შეიცავდეს „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილისგან განსხვავებულ ან ახალ ნორმას. მისი მოსაზრებით, **ცესკო-ს ხსენებული განკარგულება წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 98-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნასთან, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატის წარდგენის უფლება მიეცათ იმ პარტიებს, რომლებსაც ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულებით გაუუქმდათ რეგისტრაცია.** **აქედან გამომდინარე, განცხადების ავტორმა დააყენა წინადადება (წარმოადგინა რეკომენდაცია) ცესკო-ს 2018 წლის 13 აგვისტოს №42/2018 დადგენილების და 2018 წლის 19 სექტემბრის №111/2018 განკარგულების გაუქმების თაობაზე.**	

12	პგ „საქართველო“ წერილი (№01/18922) შემოვიდა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში 20.09.2018	როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, წინასაარჩევნოდ, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო რესურსი ჩართულია და სახელმწიფო მოხელეები სამუშაო პერიოდში აქტიურ რეკლამირებას და ღია მხარდაჭერას უწევენ სახელისუფლებო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს, **მიმდინარეობს მათი პრეზიდენტობის კანდიდატის დისკრიმინაციაც მასმედიის მხრიდან, არ გაშუქდა ტელევიზიით მათი კანდიდატის რიგითი ნომერიც კი, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით გაკეთდა გადაცემები.** წერილის ავტორი თვლის, რომ საზოგადოებას უმალავენ ზოგადად კანდიდატ **გიორგი ლილუაშვილის** მონაწილეობის ფაქტს საპრეზიდენტო არჩევნებში. ბატონი გიორგი ლილუაშვილი ითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას, რათა საზოგადოებას მიეცეს საშუალება, მასმედიის საშუალებით გაეცნოს კანდიდატ **გიორგი ლილუაშვილს** და მის საარჩევნო პროგრამას.	**განცხადება გადაიგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.** კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ დამატებით განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ საკითხზე უწყებათაშორის კომისიას კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი უახლოეს პერიოდში მოეწოდება.

13	პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 20.09.2018	პარტიის მიერ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა შემდეგი საკითხები: 1. „ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანების - „სახელმწიფო ხალხისთვის“ - მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერ სიებში აღმოჩნდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი მამუკა ბახტაძის, მონაცემები და ხელმოწერა. **ბატონი მამუკა ბახტაძე არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. მისი მხრიდან არ განხორციელებულა პოლიტიკური გაერთიანება - მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ - მხარდამჭერთა სიებში მათი საპრეზიდენტო კანდიდატის სასარგებლოდ რაიმე ხელმოწერა ან მათთვის თავისი პერსონალური მონაცემების მიწოდება“**. ამასთან, პარტია უწყებათაშორის კომისიას აცნობებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გავრცელდა ინფორმაცია ცესკო-ს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრში შესული შეტყობინებებისა და წერილობითი განცხადების შესახებ, რომელიც ეხება „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში	**განცხადება დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შსს-ში, მთავარ პროკურატურაში, ცესკო-სა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.** **1-ლი საკითხი** **ცესკო:** საკითხი განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე. ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ პროკურატურაში გადაგზავნილი მიმართვის საფუძველი იყო მხარდამჭერთა ხელმოწერებში დაფიქსირებული პრემიერ-მინისტრის მონაცემები, რომელიც მითითებულია მხარდამჭერთა სიების ბლანკში. მათივე ინფორმაციით, მხარდამჭერთა ხელმოწერათა ბლანკში არსებული ხელმოწერის ზემომითითებულ ხელმოწერასთან შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ამ ყველაფრის დადგენის შემდეგ მათ დაუყოვნებლივ მიმართეს პროკურატურას. **მთავარი პროკურატურა:** „მიმდინარე წლის 18 სექტემბერს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) ცესკო-დან გადმოგზავნილი მომართვის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვოდა სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი. მოხსენებითი ბარათიდან გაირკვა, რომ პოლიტიკური პარტიის – „სახელმწიფო ხალხისთვის“ – პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში დაფიქსირებული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით შესრულებული ხელმოწერა. ბატონი მამუკა ბახტაძის ხელმოწერისა

		არსებული ერთ-ერთი ხელმოწერის არაერთგზის გაყალბების ფაქტს. პარტიის მოსაზრებით, აღნიშნული ინფორმაცია იწვევს საფუძვლიან ეჭვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფილიალი ორგანიზაციების (მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“) მხრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ მხარდამჭერთა სიებში არსებული ხელმოწერების ნამდვილობასთან დაკავშირებით. 2. „მიმდინარე წლის 13 სექტემბერს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ **თიანეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივისტმა რომა ფაშურიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განათავსა სურათი,** რომელზეც ასახული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის პლაკატი (მისი ინფორმაციით, საკუთარი ეზოს ღობიდან ჩამოხსნა) წარწერით: ,,ნაცების დრო აღარ მოვა“. ამის შემდგომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკანორ მელიამ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განათავსა რომა ფაშურიშვილის ფოტოები მუქარისშემცველი ტექსტით, რასაც თან მოჰყვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა მიერ	და ზემოხსენებულ სიაში დაფიქსირებული ხელმოწერის შედარების შედეგად გამოიკვეთა აშკარა სხვაობა. საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოწმის სახით გამოკითხულ იქნენ ცესკო-ს წევრები, ცესკო-ს სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი და ცესკო-ს მდივანი, სულ - ცესკო-ს 7 წევრი. ასევე, დაიკითხა 2 მოქალაქე, რომელთა ხელმოწერებიც, სავარაუდოდ, გაყალბდა და შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის მათგან აღებულ იქნა ხელმოწერის ნიმუშები. გარდა ამისა, ცესკო-დან ამოღებულ იქნა საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“. **მე-2 საკითხი** **მთავარი პროკურატურა:** . „შემთხვევა მოხდა მიმდინარე წლის 15 სექტემბერს თიანეთში. პარლამენტის დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის ბიუროს წარმომადგენელმა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აქტიურმა მხარდამჭერმა რომან ფაშურიშვილმა, 13 სექტემბერს ქუჩაში ფოტო გადაუღო გრიგოლ ვაშაძის დახეულ პლაკატს და განათავსა სოციალურ ქსელში წარწერით: „ნაცების დრო აღარ მოვა“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი დავით ჯიმშიტაშვილი ამ ფაქტის გამო ტელეფონით დაუკავშირდა ფაშურიშვილს და სთხოვა, ოფისს გარეთ შეხვედროდა, რაც დამთავრდა მისი ფიზიკური შეურაცხყოფით. ინციდენტიდან მეორე დღეს დაკავებულ ჯიმშიტაშვილს ბრალი წარედგინა სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილით (დევნა) და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით. დღეის მდგომარეობით, მოქალაქე ჯიმშიტაშვილმა გირაო უზრუნველყო ფულადი თანხით და დატოვა საპატიმრო დაწესებულება. საქმე განსახილველად გადაგზავნილია მცხეთის რაიონულ სასამართლოში. წინასასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2018 წლის 6 ნოემბერს, 13:00 საათზე“.

		სოციალურ ქსელში რომა ფაშურიშვილის მიმართ აგრესიის და ფიზიკური ძალადობის მუქარა. მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით, 14:00 სთ-ზე, **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თიანეთის ოფისის წარმომადგენელმა დავით ჯიმშიტაშვილმა ტელეფონით დაურეკა რომა ფაშურიშვილს, რომელიც იმყოფებოდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თიანეთის საოლქო ორგანიზაციის ოფისში, და სთხოვა ქუჩაში გასვლა. მან შეხვედრისთანავე მიაყენა მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა** და დაუყოვნებლივ დატოვა ადგილი“.	
		3. **„თბილისი-ვალეს საავტომობილო გზაზე,** ქალაქ ახალციხის შემოსასვლელში, ცენტრალურ მაგისტრალზე არსებული ხიდის გვერდებზე (საგზაო დეპარტამენტის მოვლა-შენახვის დაქვემდებარებაში მყოფი) განთავსებულია გაერთიანებული **ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის პლაკატები და სხვადასხვა სააგიტაციო მასალა 70 ერთეული. აღნიშნული ტერიტორია არ არის გამოყოფილი სააგიტაციო მასალის განსათავსებლად** (იხ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს №60 განკარგულება)“.	**მე-3 საკითხი** **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:** განცხადება განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის 20 სექტემბრის სხდომაზე. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, **ქ. ახალციხეში პლაკატი გაკრულ იქნა აკრძალულ ადგილას. მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდა რეაგირება, გამოვლინდა სამართალდამრღვევი პირი და შედგა შესაბამისი ოქმი.**
		4. **„ქ. თელავში,** რუსთაველის 73-ში მდებარე **მერიის ადმინისტრაციული ერთეულის ოფისის კედლებზე გაკრული**	**განცხადების მე-4 და მე-5 და მე-6 საკითხებთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია ჯერ არ მოუწოდებია.**

		აღმოჩნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო მასალა“. 5. **„ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე** არსებულ **მწვანე ნარგავებზე მასობრივად განთავსდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო მასალა,** რაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს №62 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ) ნებადართული არ არის“. 6. **„ქ. ოზურგეთის** ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დამცავი ბარიერების ადგილი (მიმდინარეობს თეატრის რეაბილიტაცია), არ არის გამოყოფილი სააგიტაციო მასალის განსათავსებლად“.	

14	საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წერილი (№08/IX-1443) შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 21.09.2018	განცხადების მიხედვით, 21 სექტემბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ გარდაბნის გრძელვადიანმა დამკვირვებელმა აღმოაჩინა გარდაბანში „ევროპული საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატის სააგიტაციო მასალაზე (პლაკატებზე) ზემოდან გადაკრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის პლაკატები (განცხადებას თან ახლავს ფოტოსურათი). ითხოვენ უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან რეაგირებას.	**განცხადება დაუყოვნებლივ გადაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.** **საკითხთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია ჯერ არ მოუწოდებია.**
15	საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წერილი (№07/IX-1442) შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 21.09.2018	განმცხადებლის ინფორმაციით, ქ. ნინოწმინდის მერმა მერიის შენობაში დაიბარა „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მისცა დავალებები სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერ კამპანიასთან დაკავშირებით. ითხოვენ უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან რეაგირებას.	**განცხადება დაუყოვნებლივ გადაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ცესკო-ში.** **საკითხთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ცესკო-ს ინფორმაცია ჯერ არ მოუწოდებიათ.**

16	საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წერილი (№07/IX-1441) შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 21.09.2018	როგორც წერილის ავტორი მიუთითებს, მიმდინარე წლის 21 სექტემბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ გარდაბნის გრძელვადიანმა დამკვირვებელმა მათ ორგანიზაციას მიაწოდა ინფორმაცია, რომ 21 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ახალციხის საბარგო სადგურის ტერიტორიაზე დაფიქსირდა დარღვევით გაკრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის სააგიტაციო მასალა (პლაკატი). აღსანიშნავია, რომ ადგილი, სადაც პლაკატებია გაკრული, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ჩამონათვალში არ არის (განცხადებას თან ახლავს ფოტოსურათი). ითხოვენ უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან რეაგირებას.	**განცხადება დაუყოვნებლივ გადაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.** **საკითხთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია ჯერ არ მოუწოდებია.**

17	„ეროვნული საბჭოს“ წევრი პარტიები: „თავისუფალი საქართველო“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ წერილი (№01/19236) შემოვიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში 25.09.2018	„ეროვნული საბჭოს“ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტელეკომპანია „იბერიის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებენ თავისუფალი მედიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, რომელიც მიზნად ისახავს მედიასივრცის სრულ მონოპოლიზაციას. ისინი სოლიდარობას უცხადებენ ტელეკომპანია „იბერიას“ და ითხოვენ კომისიის რიგგარეშე სხდომის დანიშვნას, სადაც მსჯელობა გაიმართება კონკრეტულად ამ საკითხის ირგვლივ. ამასთან, მათ სურთ, მოისმინონ პროკურატურისა და შემოსავლების სამსახურის პოზიცია აღნიშნულ საკითხზე.	**განცხადება გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროში.**

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

ცხრილი №2. მედიამონიტორინგი

№	მედიასაშუალება	შეტყობინების თარიღი	ინფორმაციის შინაარსი	რეაგირება / გადაწყვეტილება
№1	სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“; საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“	**30.07.2018**	**29.07.2018** **ინციდენტი ადიგენში - „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატი „ოცნების“ აქტივისტებს მის ცემაში ადანაშაულებს** „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარ დეპუტატს ადიგენში, ზურაბ შაინიძეს სცემეს. შაინიძის ინფორმაციით, მას ფიზიკურად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გაუსწორდნენ. ზურაბ შაინიძის თქმით, კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მან სტადიონზე დაპირისპირებული ახალგაზრდების გაშველება სცადა. ამის შემდეგ, დეპუტატის განცხადებით, ადგილზე მმართველი გუნდის რამდენიმე ათეული, ხელკეტებითა და ჯოხებით შეიარაღებული მხარდამჭერი მივიდა და სცემეს. დაზარალებულ დეპუტატს საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა. მას დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული. ამ წუთებში ადიგენის პოლიციაში კონფლიქტის მონაწილეთა დაკითხვა მიმდინარეობს“. ვიდეო: http://rustavi2.ge/ka/news/110099 **30.07.18** **არავინ არის დაზღვეული, რომ არ შეეწირება ამ დაპირისპირებას - ზურაბ შაინიძე პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებაზე საუბრობს** „ადიგენში მომხდარ ინციდენტს მმართველ გუნდში ეხმაურებიან. პარტიაში ამტკიცებენ, რომ დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე მოხდა და ყოველგვარ პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავენ. „ქართულ ოცნებაში“ იმედოვნებენ, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს და დამნაშავე პირები სათანადოდ დაისჯებიან.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა **მთავარ პროკურატურასა და შსს-ში.** **მთავარი პროკურატურა:** **„ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის** („ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“) ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2018 წლის 29 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა ჯგუფურად). გამოძიების ფარგლებში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები. გამოკითხულ იქნა 30 მოწმე, მათ შორის, უშუალოდ კონფლიქტში მონაწილე პირები; ჩატარებულ იქნა შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. გამოძიებით დადგინდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში შუამთობის დღესასწაულზე რამდენიმე მოქალაქესა და ზურაბ შაინიძეს შორის ყოფით ნიადაგზე (ფეხბურთის თემაზე) შელაპარაკების შედეგად წარმოიშვა კონფლიქტი. დაკითხულ მოწმეებზე დაყრდნობით გამოირიცხა დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე. საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 3 პირი.

			„ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ზურაბ შაინიძე ხელკეტებით და ჯოხებით არის ნაცემი. დეპუტატის ინფორმაციით, მსგავსი ფაქტი მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ადრეც მომხდარა. გამოძიება ძალადობის მუხლით მიმდინარეობს. კონფლიქტში მონაწილე მხარეები პოლიციამ უკვე გამოკითხა. „სიმართლე არ უნდა დაიკარგოს. ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები ყველა არის დაკავშირებული მაგ პრობლემებთან, რადგან ჩვენ არ ვართ „ქართული ოცნების“ წევრები. თუ ამას დროულად არ მიექცევა ყურადღება და არ გამოსწორდება მდგომარეობა, არავინ არის დაზღვეული, რომ შეეწიროს ამ დაპირისპირებას“, - განაცხადა ზურაბ შაინიძემ“. http://rustavi2.ge/ka/news/110139 **„ქართული ოცნება“ - ადიგენში ინციდენტი ყოფით ნიადაგზე წარმოიშვა და ყოველგვარი პოლიტიკური მოტივი გამორიცხულია** „პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური ადიგენში მომხდარ ინციდენტს ეხმაურება. პარტიის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ადიგენში ინციდენტი წარმოიშვა ყოფით ნიადაგზე და ყოველგვარი პოლიტიკური მოტივი გამორიცხულია. „პოლიტიკური გაერთიანება ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას და გამორიცხავს ვინმეს მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება სიმართლეს დაადგენს და დამნაშავე პირები სათანადოდ დაისჯებიან“, - ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ „ევროპული საქართველოს“ ადიგენის ორგანიზაციის თავმჯდომარემ სიმონ პარუნაშვილმა განაცხადა, რომ „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარ	ამ ეტაპზე დაპირისპირებაში მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელთაგან 12 პირის მიმართ სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ზემოხსენებულ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო. 2018 წლის 26 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. ზემოაღნიშნული საქმიდან სსკ-ის 126-ე მუხლით ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე გამოძიებით დაუდგენელი პირების მიერ ძალადობის ჩადენის ფაქტზე. მოცემულ საქმეზე გრძელდება გამოძიება“.

			დეპუტატ ზურაბ შაინიძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. როგორც სიმონ პარუნაშვილმა აღნიშნა, ზურაბ შაინიძეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ და მომხდარი შემთხვევითობას არ უკავშირდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადიგენში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო“. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/505859-	
№2	ტელეკომპანია „იმედი“	**18.09.2018**	**ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით,** პარტიის - „სახელმწიფო ხალხისათვის“ - მიერ ცესკო-ში წარდგენილ მხარდამჭერთა სიაში პრემიერ-მინისტრის პირადი მონაცემები აღმოჩნდა. საკითხის კომენტირებისას გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ მამუკა ბახტაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველი იყო, სიაში მისი მონაცემები კი სუს-ის პროვოკაციაც შეიძლება იყოს.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა **მთავარ პროკურატურაში, შსს-ში, სუს-სა და ცესკო-ში.** *(იხ. რეაგირების ცხრილში №13 საკითხის გადაწყვეტილება)*

			ვაშაძის თქმით, მხარდამჭერთა სიების გასაჯაროება სისხლის სამართლის დანაშაულია. პირმა, რომელიც ხელმოწერებს აგროვებდა, სატელეფონო კომენტარში განაცხადა, რომ ყველა დეტალი მას არ ახსოვს, პრემიერთან კომუნიკაცია ნამდვილად არ ჰქონია და ეს, უბრალოდ, კურიოზია. რამდენიმე წუთის წინ ბრიფინგზე ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცხელ ხაზზე რამდენიმე ინფორმაციაა შემოსული მხარდამჭერთა სიაში პირადი მონაცემების გაყალბების შესახებ და ეს ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნებათ. ცესკო სიების გასაჯაროებასთან ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს. ***ტელეკომპანია „იმედი“. „ქრონიკა“ 17.00 სთ***	
№3	ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“	**19.09.2018**	**ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ *(ვიდეო)*** ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ. „kutaisipost“-ის ინფორმაციით, ერთმანეთს საკრებულოს უმრავლესობის წევრი იმედა საღინაძე და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი გია უკლება დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაიწყო, რის შემდეგაც ხელჩართული ჩხუბი დერეფანში გაგრძელდა. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატმა“ სახის არეში დაზიანებები მიიღო.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა **მთავარ პროკურატურასა და შსს-ში.** **მთავარი პროკურატურა, შსს:** „ქუთაისის საკრებულოში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი უკლებას მიერ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი ტექსტი, რასაც შემდგომ მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება. ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა). გამოძიების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, გამოკითხულია 16 პირი, მიღებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით

			http://accent.com.ge/ge/news/details/59674	გიორგი უკლებას, ქუთაისის საკრებულოს წევრს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, აღენიშნება სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ დაწყებულა. საქმეზე გრძელდება გამოძიება“.